



ბრძანება N154

„19“ 07 2017 წელი
 ქ. თბილისი

მასწავლებლის შეფასების შედეგებისა და მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭების, შენარჩუნებისა და შეწყვეტის შესახებ წინადადების გასაჩივრებისათვის გათვალისწინებული საპრეტენზიო განაცხადის ფორმის დამტკიცებისა და საპრეტენზიო განაცხადის წარდგენის ვადის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 56-ე მუხლების, „მასწავლებლის საქმიანობის დანყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის N68 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დაფუძნებისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 29 დეკემბრის N163/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) უწყვეტი პროფესიული განვითარების სამსახურის უფროსის 2017 წლის 11 ივლისის N814174 და 19 ივლისის N848665 სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს მასწავლებლის შეფასების შედეგებისა და მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრული სტატუსების მინიჭების, შენარჩუნებისა და შეწყვეტის შესახებ წინადადების გასაჩივრებისათვის გათვალისწინებული საპრეტენზიო განაცხადის ფორმა დანართის შესაბამისად.
2. მასწავლებლის შეფასების შედეგებისა და მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭების, შენარჩუნებისა და შეწყვეტის შესახებ წინადადების გასაჩივრების ვადად - უფროსი და წამყვანი მასწავლებლებისთვის განისაზღვროს 2017 წლის 24 ივლისიდან 2017 წლის 25 აგვისტოს ჩათვლით პერიოდი, ხოლო პრაქტიკოსი მასწავლებლებისთვის - 2017 წლის 18 სექტემბრიდან 2017 წლის 20 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდი.
3. დაევალოს ცენტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფის სამსახურს ამ ბრძანების საჯაროდ გამოცხადება ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - tpdc.gov.ge განთავსებისა და ცენტრის ადმინისტრაციულ შენობაში ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად განთავსების გზით.
4. ბრძანება ძალაში შედის საჯაროდ გამოცხადებისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ N6. 0131)

გიორგი მაჩაბელი

დირექტორი